განმარტებითი ბარათი

საქართველოსა და INTAS-ს შორის საქართველო - INTAS-ის 2006 წლის ერთობლივ სამეცნიერო პროექტების კონკურსთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ კონვენციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" ოქმთან დაკავშირებით

„საქართველოსა და INTAS-ს შორის საქართველო - INTAS-ს 2006 წლის ერთობლივ სამეცნიერო პროექტების კონკურსთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ კონვენციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" ოქმის პროექტის მომზადება განპირობებულია INTAS-ის მიერ საქართველოს სამეცნიერო პროექტების დაფინანსების კონვენციაში მითითებული თანხის გაზრდით, რაც უნდა განხორციელდეს დამატებითი ოქმის საფუძველზე. კერძოდ, INTAS-მა გამოთქვა სურვილი საქართველოს სამეცნიერო პროექტების დაფინანსების 50 000 ევროს ოდენობის თანხით გაზრდასთან დაკავშირებით. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მზად არის აიღოს კასუხისმგებლობა და დააფინანსოს გამარჯვებული პროექტები კონვენციაში მოყვანილი პირობების დაცვით.

პროექტი წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან.

პროექტი არ გამოიწვევს დამატებით სახელმწიფო ხარჯებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

პროექტის ავტორია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროექტის წარმდგენია საქართველოს პრეზიდენტი.